




„განიარაღების“ კონსერვისიონი უმეღებ

კლანძობები:—თუ ჩვენს მომე მიწას არ ვუშვდებით, შვიარაღების სიმამობისაგან მოგვეუღება და წყვილადში გაღირებება!

ეჭვიანი რედაქტორი

ნახ. მოქიანვილის



ნიკო ბასილაშვილი პოეტური ხალხის კაცია, ესთეტიური გემოვნების პატრონი, უყვარს სილამაზე, ბუნება. იტაცებს ხელოვნება, კერძოდ — პოეზიას.

პირადად იცნობს ჩვენს პოეტებს, კითხულობს მათ ნაწერებს, ახალგაზრდობისას თვითონაც სწერდა ლექსებს, — მაგრამ პოეტის სახელი ვერ მოიხვეჭა, უნიჭო გამოდგა.

როგორც რევარტიორი ჩინებულა, ათი წელია რაც ჩვენს გაზეთებში მუშაობს ამ თანამშრომლობაზე. ერთერთ გაზეთში ხელოვნების განყოფილების უამრავად ითვლებოდა. გაზეთის რედაქტორთან მას ხშირად მოსულია და უკმაყოფილება, — რედაქტორს ჭირივით ესარბებოდა ლექსები. ის ხშირად ამბობდა ხოლმე:

— შოთა რუსთველიც რომ გაცოცხლდეს ერთ ლექსს არ დაუბეჭდავ! ბასილაშვილი ვერ იტანდა რედაქტორის ასეთ უკომპრომიზობას.

— ეხ, ნეტავ რაღასმე ვაგზდებოდე რედაქტორი, ყოველ ნომერში დავბეჭდი ლექსებს, მოთხრობებს და დრამატურულ ნაწარმოებებსო! — ამბობდა ის.

დადგა ეს ნეტარი დროც. ბასილაშვილს ნატურა აუღსოვლდა. ის დანიშნულ იქნა ძროხაშენის რაიონის გაზეთის რედაქტორად.

ბასილაშვილის სიხარულს სახლეჩარი არ ქონდა.

— აბა ამხანაგებო, იცოდეთთ ორ დღეში მიემგზავრები რაიონში, და აგროვეთ ლექსები, მოთხრობები; პირველ ნომერშივე წაიკითხეთ თქვენს

ლექსებს! — ეუბნებოდა ის პოეტებს.

რამდენიმე დღის შემდეგ ტფილისში მიღებულ იქნა ძროხაშენის რაიონული გაზეთი, სახელწოდებით „მუხა“, რომელიც ლიტერატურულ გაზეთს უფრო ვაგდა, ვინემ რაიონის საშეურნეო — პოლიტიკურ ორგანოს.


გაზეთი იწყებოდა ლექსით (გარდა სათაურისა) და თავდებოდა ლექსებით და მოთხრობებით, რომელთა იღვეოლოგიურ ღირებულებას მათი სახელწოდებებითაც შეიძლება მიხედვს მკითხველი.

პირველს რამდენიმე ლექსის სახელწოდება: „გაზაფხულის სილამაზე“, „მზეო ამოდი-ამოდი“, „სიყვარული ტყეში“, „მთვარიან ღამეში“, „სიკვდილი სოფლად“, „სიმღერა ქალ-ვაჟის“ და სხვ.

რედაქტორი-ბასილაშვილი მრავალ ამოცანებს უსახავდა გაზეთს, ერთერთ ამოცანათ ავტორი თვლიდა სოფლის მუშა — ხალხის ესთეტიურ აღზრდას. სახამ სათანადო ორგანოები ხსენებულ გაზეთის ნომრებს მიიღებდნენ ტფილისში, ბასილაშვილმა მოსწრო რამდენიმე ნომრის გამოცემა, რომელთა შორის მხოლოდ ერთი ნომერი ეხებოდა ძროხაშენის რაიონის „აღჭიბობარტო“ საკითხებს.

ძროხაშენის რაიონის გაზეთი ბრწყინვალე პერსპექტივებს უსახავდა და რაიონს ტენიკურ და საბეჭდალური კულტურის მოშენების საქმეში.

„სოფლად მივლინებული ზოგიერთი მუშაკები ხშირად ჭიფო ბაში ატარებენ დროს.“
(გაზეთშიდან)



ნახ. თორნიშის

„მირის მიმდინებებს უგზოუკვლოდ“ ცხენი, ფეხმარდი „ნაავს მივიცი“ ვულის ბოლმა, ხედა და დარდი!

ადვილობა — ეცხობებენი გაქვრჩეული დარჩენ გაზეთის ამ რამის გაწოსვლის შემდეგ, რადგან ეს რაიონი ნუდამ ცნობილი იყო მკაცხოვრების რაიონად...

„ტყვილად კი არ ამბობენ, — არ არის ისეთი ციხე-სიმაგრე, რომ ბოლ-შევიკებს არ შეეძლოთ მისი აღებაო“, — ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ ამ ციხე-სიმაგრეში ჩაის, ბამბისა და ასეთებია წიყვენა შეიძლებოდა! — გაკვირვებული ეუბნებოდნენ ერთმანეთს ძროხაშენის რაიონის გლეხები.

რედაქტორი ბასილაშვილი ასეთი „აღმოჩენის“ გამო გაწვეული იქნა ტფილისში, საიდანაც ამ რაიონის ეს აღარ დაბრუნებია. მის მაგიერ რაიონში რედაქტორად გაგზავნეს ანხ. ბესო ასოთაშვილი, რომელმაც ძირითადად გადაახალისა ხსენებული გაზეთი, „მუხა“-ს მაგიერ გაზეთს ეწოდა „წინ, სოციალიზმისაკენ“.

პირველივე ნომრის მოწინავე წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული გაზეთის ამოცანები, რომელთა შორის ერთერთ მთავარ ამოცანათ გაზეთი ისახავდა ძროხაშენის რაიონისათვის მცხოვრებლობის ყურადღების ცენტრში მოქცევის.

ყოფილ რედაქტორს, ნიკო ბასილაშვილს გაზეთები რეპორტიორათაც ათრ...

მუხამარა.

ს რ ა კ ი ნ ა ა მ ბ ო ბ ი



თაბორის სამხედრო მინისტრს, არა-
ვის საკავშირო დეპ. საავ. კორესპონ-
დენტი შეეკითხა ასე: „შვიტრობთ, თუ
არა, რომ თაბორის არმიის მოქმედე-
ბას შეუძლია მელახის საბჭოთა კავ-
შირის ინტერესები მანჯურიაში?“ არა-
კიმ უპასუხა: „საბჭოთა კავშირთან
ურთიერთობის საკითხში მე იმ თვალ-
საზრისს ვადგივარ, რასაც ადგას ია-
პონის სარდლობა მანჯურიაში“.

(დებულებიდან).

გამოვლითა ბევრი არაკი,
ნაწერია თუ ნაღობარაკი,
მავრამ არაკი, იაპონელი,
არის სხვა რაღმე, სხვა საქმეულით
იგი სამხედრო არის მინისტრი.
აღბათ, სხვა იყო ვინმე იმის წინ
და შემდეგც, ალბათ, კვლავ სხვა იქნება:
ერთი წავა და სხვა მიიშლება.
ამ არსებობის უსაზღვრო ხელზე,
და სანამ ქურდი არ არის თხლეზე
დაქურდილი და გამსული კიდევც,
რას მოუტეხნი შენ მინისტრს მიზეზს,
რომ დასლა წუწნი დაგაფხონი
როდესაც ეს სურს, ყოველი ასო,
განზომილი აქვს, გამოწონილი,
ვითომც ასი წლის გამოვლილი,
როგორც მინისტრის ხელწერას შევნიშ-
აბა, ნაყოფი იმისი ენის
ანუ სხვაგვარად — ნაღობარაკი,
მა, მავალითად, ვით ეს არაკი.
კორესპონდენტთან საუბარის მართაგს,
იხე მიაგავს ნამდვილს და მართაგს,
რომ მანში მტურის ჩართვაც სჭირდება,
თუ კაცი წათქვამს ჩაუტყვირდება.
მა, მავალითად, კორესპონდენტი
აღმოჩნდა ვინმე ისეთი ცუბო,
გამოიჩინა ესდენ სითარე,
რომ მინისტრ-არაკს შეეკითხა ასე:
„შვიტრობთ თუ არა სადრთხეს ამგვარზე,
რომ მანჯურიაში... სწავლარზე
... აღმოჩენილი იყოს ხიფათი,
ეს თქვენის სარაკი, ათა იმათი?“.
აღბათ, გინახავთ ცუბო, ჩინილია
სულ ჩხუბის გულზე მდგომი ყვინჩილი.
სხვა ყვინჩილაზე მოდერულულად!
უმეტეა კვლავ მასავით სრულად
წარმოადგინეთ თქვენც იგი ცუბო,
მინისტრთან მდგომი კორესპონდენტი,
ხოლო მინისტრი კი, მის წინ მდგომრი,
როგორც მამალი სდგას ინდოური,
და გაფხორილი ხმლით თუ დეზებით,
თქმაში საკუთარ ხმის წაჭეუბით,
დაჯერების რომ აქვს სიზისასე,
ამ ცუბ შემიკითხველს მიუტეგს ასე:
„განა, ეშვი გაქვთ მასში... რომელიც...
რაიმე საკურთხე სადმე მოგვეთის?!,
მე თუ მინისტრად ვარ და ვარგივარ,
ისეთ თვალსაზრისს მტკიცედ ვადგივარ,
რასაც ადგია ჩვენი სარდლობა!“.

— ბიჭო, მოდი კიდევ გეტყვი ერთ
ამბავს და შენ დასწერე შენგზურად,
დეე, წაიკითხონ და ვის როგორც
უნდა ისე გაიგონ.

— სთქვი, არაქელ, ყურს ვიგდები
— ხო და იყო ერთი წმინდანობით
სახელგანთქმული ხანამი, მოლა თუ
ხუცესი, ეგ სულერთია ვისაც კი
რაიმე გაუჭირდებოდა, მიმართავ-
და ამ წმინდანს და ისიც ყველას დი
დი თანაგრძნობით შეხედებოდა, მო-
უსშენდა, დარიგებას მისცემდა, ხან-
დახან ქონებრივადც დახმარებას
აღმოუჩენდა, ფულით თუ სხვა რა-
მითი.

ხმა იყო გავარდნილი, რომ ცოდ-
ვებით სავსე ქვეყანა დიდი ხანია და-
ინგრეოდა, რომ ამ წმინდანის დოც-
ვები და კეთილი საქმეები არ პატი-
ობდესო.

ერთი ვნახო, ვინმე ერთი კაცის



სახლს ღამით ყარალები დაესხნ
თავს, გააუბატიურეს ცოლი, ქალი-
შვილები, გაცარცვეს, გაიტაცეს
ბლომაღ ნადავლი.

გაუბედურებული ეს კაცი მეორე
დღეს წავიდა წმინდანთან რჩევა-და-
რიგების და დახმარების სათხოვერე-
ლად.

წმინდანმა მიიღო ჩვეულებრივი
თანაგრძნობით და სიბრალულოთ,
მოუსმინა თავზე დამტყდარი უბე-
დურება და სასოებით აღაპყრო ხელე
ბი გედრებით ცისკვენ.

დაზარალებულმაც მიბაძა მის მო-
ქმედებას და ლოცვით დაეშხო პირ-
ქვე წმინდანის წინამე.

ერთი ვნახო, ის გამტყრებული
მიატყრდა რაღაცას ტახტქვეშ.

როგორ გვინა, რა დაინახა მან
იქ?

რა და თავისი გაცარცული ქონე-
ბის რჩეული ნაწლი!

თურმე ეს წმინდანი იყო ხელმ-
ძღვანელი იმ ყარალების, რომლებმაც
ასეთი შეურაცყოფა და ზარალი მი-
აყენეს მას!..

— მერე რა არაქელ?

— ვა, მერე რაღა ვინდა მტტი?
წმინდანი სომ წმინდანთ დარჩეზო-
და, სომ იცო- მტტი არაფერი...
ს. თ—იან.

გაიგეთ ახლა მამაძალღობა,
როგორმაც იჩენს აგი არაკი
ნუ თუ იმათი ნაღობარაკი
გარანტია ან საწინდარი,
რომ გავსდეთ მისი ნდობით მდიდარი?!

ვხედავთ: არაკი ამბობს არაკებს,
ქურდი ქურდობას კი ხელ არ აკლემს
და იტმს პირს იმ ნაპარცვი ხილით,
რაც რომ მიიღო ტყვეების ცხრილით,
ხოლო სხვის თვალის დასაბრმავებლად,
თვის ნაჭურდალის განსახლებლად,
თითო გვანისმრებს მშვიდობის ხელზე,
როცა ეს ქურდი გაძარცვს თხოვეს!..

ონისიძე.

30 მარტს 1932 წ.

შუსდებავ „ნიანგის“ კალკების

მოსამზადებელ წრეების მეცადინეობა

ახალგაზრდა მხატვარების, დილის სრულ 10 საათ.

ლიტურის—სრულ 11/2, საათზე. დასწრება ვებლა

მსმენელთათვის სავალდებულოა

სანიანბო უიკიანი ევროპიან

ესე უსტარი, ნიანგო, ევროპით მომიწერია, მსურს აქაურთა ამბავთა გაუწყო მთელი სერია: ჰაერობლანით ვიმგზავრე, დავსტოვე ესესერია, აქ საშენებლო ფაქტები მრავალი დამიჭერია. ჯერ მოკლედ მოვსკრი, საერთოდ—ციცი იქიარი ვაგებდა და მერე დავაკონკრეტებ ამბების გადმოლაგებას.

მოკლედ ასეა: ევროპის „ჰევაფის“, „ცივილიზაცია“, უფრო მოკლედ კი — მასა სჭირს ღირთა ტკივილიზაცია, დამბლა ეცემა კაპიტალს, კრიზისის ქურბი აცვია, ბნელად შეიპყრო, დაიწყო ომზეკივილიზაცია, — შიგნით დულს რევოლიუციის სამზადისი და გაფიცვა, — გაიოქტომბროს—უთუოდ მუშათა კლასმა დაფიცა.

ამიტომ აფაციფუცდა, მხოფლიო ბურჟუაზია, თავს-ქვას ახლის რომ მონახოს გადაბრჩენი ხაზია:

და აი ამ დროს გამოჩნდა მისი ერთგული ლაქია, მუშათა კლასის ლალატის შუბლზე რომ სცხია ლაქია, ხელთათმან - ცილინდროვანი—მინისტრის რომ აქვს ფრაკია, — სოცდამცემლობზე მოგითხრობთ—რით ვერ გაიგე აქია?!

— გადარჩენა ესურს? ბაშუსტა. — მიმართავს მოწიწებითა, —

ჩვენ, თქვენი მონა-პორჩილი, თქვენთვის ოთხ ფეხზე ვდგებითა. რათ გავიწყდებათ, მეორე ინტერნაციონალია, —

ის თქვენი ყმაა, ფეხთ აკრავს კაპიტალიზმის ნალია, მის დახმარებით ჩავაქრობთ რევოლიუციის ხანძარსა, პროლეტარიატს მიუსევთ, ხან პოლიციას, ხან ჯარსა!

ეს სთქვა სოცდემოკრატია და უშალ საქმეს შეუდგა: **გემარბანიში** — ჰინდენბურგს მან ყაფარჯენი შეუდგა, ტელმანს რომ ზურგი აქცია, — გენერალს მისცა ხმებია, გამოაცხადა ხმა მაღლა — „ფაშისტებს ვეთანხმებია“...

— „მეც ვეთანხმები!“ — უენევის ისმის ხმა **ვანდერველდისა**, (სოცდამცემია მინისტრი — ბურჟუაზიის გვერდისა).

— მეც ვეთანხმები! (მუშათა კლასისთვის „კარგის“ მდომია. და ვშველი იმპერიალიზმს, ეგებ დაჩქარდეს ომია.

— ბრავო მუსიო ვანდერველდ... ხელს ართმევს **იპონია**, — მაგ შენს თეზისებს ჩინეთში ვანსორციელებ მგონია, —

არ გჯერათ? აი დანიშნეთ შემსწავლი კომისიები, რომ შანხაიში ადგინონ იმათ ნანგრევთა სიები,

რაც ჯარმა იპონიის „თავდაცვის“ მიზნით იქმედა, — „მშვიდობის დაცვა“ ამაზე სხვა უკეთესი იქნება?!

ან მანჯურია ხომ ნახეთ, ჩინეთს რომ ეგდო უქმად, „გავადამოუკიდებლეთ“ — ანუხელთ ვიგდეთ ლუქმად.

ან თქვენ ხომ ხედავთ **საბჭოეთს** კავშირს რომ აღარ გეშვებით იმის საზღვრებთან ვლრუტუნობთ პროვოკაციის ეშვებით, —

გვიშველეთ რაღა სუყველამ, რომ ჩავთროთ ომშია, რომ მიწა სისხლში ვაცურათ, როგორც ჩოვანი ლომშია!

— ვაჰ. შენთან არ ვარ? იძახის **საფრანგეთიდან ტარლი**, ბიჭი არ ვიყო თუ ომის პროვოკაციას არ ვხდიე!

ხომ გეხმარებით ჩინეთში, მაგრამ არ ვქმარობ ამხაც **დუნაის ფედერაციის** ქე ვაკოწიწებ ლამაზად—

რკალს ვართყამთ საბჭოთა კავშირს წარბაზნებით და შუბებით ვინ არ იქნება ჩვენთანა როცა მას წავეჩაუბებით?

— თქვენთან ვართ, თქვენთან. ყოვიან კაპიტალიზმის სვავები, და ახე იჭედებიან, საყოველთაო „ზავები“!

მაგრამ მათ სხვათა მასუხად ბოძოქრობს რისხვა უხილი დღეს თუ ხვალ წაღეს ევროპის რევოლიუციის ქუხილი.

უარსადან.

ერთი „ვაი, ორი ვაი“ ტ რ ა მ ვ ა ი!

ვაი!... ტრამვაი აქ არ ჩერდება!.. სჩანს, გოგრა ისე დამიბერდება, რომ შიგ შეგნებაც არ მოვა, მგონი; სულ მცირე; ერთი სემიქის დონისა აბა რასა ჰგავს მოვლენა ავი? გარბის ვაგონი; როგორც აბრაგი!.. თუ ჩვენთვის ერთი რეკონსტრუქცია,

ხელისუფლებას კი მოუცია, ეს დირექცია რამ გადარია, რომ ეს ბაქნები ასე არია?! მაგრამ მსჯელობა შორს წამიყვანდა, მითომ ფეხებიც თვისით გაქანდა... (მივბოლი მე და თან ვანდავანდა სხვა მგზავრებისაც მომდევნა ბანდა...)

და მივაშურე მეორე ბაქნს, ამ სურვილისა და რწმენის საგანს! მიველ და ვუცდი... (თუ არ მოვხუცდი!) მოჰქრის ვაგონი —(ჩავჯდები, მგონი!..)

—ვაი და ვაი!.. მიჰქრის ტრამვაი.. ბაქნთან ისე ჩამომიქროლა, რომ შიშით ტანში დამიწყო ჟრჟო და გაეხტი ვანზე... მე ამ ბაქანზეც, სჩანს, ვერ დავჯდები ნატვრის საგანზე!

წყლის წალბეულიც ედება რამეს! და მეც მივმართე ბაქანს მესამეს, და როგორც იყო აქ ძლივს ავბოლოდი..

მისვლის ადგილსაც ჰა, დავახლოვდი!.. და ახლა უკვე, მინდა გადმოსვლა, ისე რომ სხვების არც ჰყვლეთა, მოსვრა...

აი, ბაქანიც, ნდობის საგანიც!.. —ახ, შეაჩერეთ! მივმართე ვატმანს. ის კი ზის: საჭეს უსწორებს, მართავს, თანაც მიბღვერის და თვალებს კაკლავს!..

მაგრამ... სჯობია მივმართოთ ვაჟას! მეც მომაგონდა ეს მისი ლექსი, მიმაფრენდა წინ რა ეს ექსპრესია „ქორმა წიწილა წაილო, იძახდა წიავე-წიავესა“... მეც ვაგონს ისე მივექონდი, როგორც ბუმბული ნიავსა... ჩამოსვლა მსურდა...


გახუნდა!.. დარდმა მადარა ქლიავსა!.. ხელისაკიდურს ვეკიდე, სხვები მიხეხდენ ღლიავსა!..

ვაწირა.




მეშვე

- მიღებულია პარკბაღი
- აღიწილი ჟონი
- გარდავაგება და
- დისკონტინენს და-
- უვანს. პროდუქტია
- 10% დაუთა და ხარისხი
- პირ არის პირი
- პირი იღებს ან გარე




- მთავან ბილი
- უღდა გორი
- ღოს. პარკბა
- უაბა პირი
- ბილი პირი
- ქვაპირი, და
- ხდა დისკონტინენს
- და, პროდუქტია
- იზრდება და
- გარდავაგება და
- ქარბაბიტი უაბა



რა ბიჭი პავსაოჯი!?!

სიხყვა რომაისიხ უფვა წაჩიოთაქვეყიოი კრეაბარის
ს ა ფ დ ა ვ ვ ა



პატივცემულო მოქალაქეო!
გული გაიგამგრეთ:
გარდაიცვალა ივარე (ივანე არ
გეგონოთ) კრეიგერი.
აღსრულდა!

ივარემ სიკვდილი არ „ივარა“ და
ტყვი ივრა შუბლში.
თავიდან თუ არ მოგიყვით, ბო-
ლოს საიდან გაიგებთ, თქვენ ვულ-
დათუთქულნო ამ ტრაგედით:

ივარი კრეიგერი იყო შვედი ინ-
ჟინერი, ასანთის ფაბრიკანტის შვი-
ლი. მამა საწყალს ადრე გარდაეცვა-
ლა და ივარე დარჩა ობლათ, სილა-
ტაქეში, ერთად ერთი ფაბრიკის
ამარა. ივარე სულით არ დაეცა და
ვაჭრობა - მრეწველობა გააჩაღა.
მსოფლიო ომის შემდეგ კრეიგერის-
თანა ნიჭიერი კაპიტალისტი მსოფ-
ლიო ბურჟუაზიას არ ყოლია. ივარე
კრეიგერმა შექმნა მთელი კონცერ-
ნი და მთელ მსოფლიოს მოედო მისი
ასანთი. საწყალ ივარეს ბოლო ხანე-
ბში შვეციასა და სხვა ქვეყნებში
ქონდა 150 ფაბრიკა. ეს იყო ასან-
თის, ხე-ტყის, ქაოლოის, ჰიმფოა,
და სხვა ფაბრიკა - ქარხნები.

დღეს, თქვენს წინაშე, პატივცე-
მულნო, მონოპოლისტური კაპიტა-
ლისტის თვალსაჩინო წარმომადგენ-
ლის ვეგამი ძეგს.

საწყალმა ივარემ იკითხოს, თორემ
რა უჭირს იმ სახელმწიფოებს, რომ-
ელთაც ივარეს ფული ემართათ.
თქვენ იქნებ არც კი იცით, რომ ივარე
კრეიგერმა ბარე რეაასი მილიონ-
ნი ოქროს მანეთი ასესხა ისეთ სა-
ხელმწიფოებს, როგორცაა თვით
შვეცია, შემდეგ პოლონეთი, რუმინე-
თი, საბერძნეთი, სამხრეთ - სლავია,
უნგრეთი, ლატვია, ესტონეთი, ლა-
ტვია და მრავალი სხვა ქვეყნები. ეს
რეაასი მილიონი ხომ ტყემალდევით
შერჩა ხსენებულ სახელმწიფოთა
მთავრობებს, მაშინ, როცა ივარეს
წვრილშვილი სილარიზმშია ჩავარდ-
ნილი!

პეი, ივარე კრეიგერი! შენ გქონ-

და მილიარდები შენ გქონდა ბანკე-
ბი, შენ გქონდა ფაბრიკა - ქარხნე-
ბი. შენ ისე მაგრათ გაიღვი ძირი,
რომ მთელი ქვეყნებზე შენი ასან-
თით არაღებდა კერას. შენ დაამარც-
ხე ყველა, საბჭოთა ასანთის გარდა.
მხოლოდ საბჭოთა ასანთი იყო შენი
ძლიერი მეტოქე და ამიტომაც შენ
სამართლიანად იყავ გულმოსული
არა მარტო საბჭოთა ასანთზე, არა-
მედ თვით საბჭოთა ქვეყანაზეც.

„სიმათლემან შენმან ვაცხოროს
შენ“, კრეიგერი ივარემ! შენ, დე-
ტერლინგთან, ურკვარტთან და სხვა
ძმა-ბიჭებთან ერთად ამზადებდი ომს
საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ და აი,
ჩვენ იმის მოწამენი გავხდით, რა
პარიზის სასტუმროს ოთახში შენ
თითონ ომი გამოუქვადე შენს საკუ-
თარ თავს, სროლაც აუტეხე და ამას
შედეგათ კაპიტალისტმა ივარე კრე-
გერმა დახვრიტა გაკოტრებული
კაპიტალისტი კრეიგერი ივარე.

ვის დავებარალოთ შენი ოდროოდ
დაკარგვა? ვის შესჩივლონ დაობ-
ლობაშია მაკლერებმა?

— ცხადია, შენი უმუშალო
მკვლელია ეკონომიური და ფინან-
სიური კრიზისი, რომელმაც არა ე-
თი და ორი კონცერნი, სინდიკატ,
ტრესტი და ბანკი და თვით სახელმწი-

ფოკიაც ძირაყლს. იყო სკვალაია
მით ინუგეშო, რომ ახლო მომავალ-
ში შენთან იქნებიან სხვა შენი ძმე-
ბი(ც: კრეიგერები, დეტერლინგები,
მორგანები, ფორდები და სხვები,
რომელთაც მაქვთკენ გადმოისეროს
უკვე ამტყდარი მსოფლიო რევოლი-
უციის გრეგალი.


კაპიტალიზმი თავს იკლავს შე-
ნის საწით, განსვენებულთა ივარე,
რომ არ მოიკლას, მას მოკლ-
რადგანაც იმპერიალიზმი ისე იკბა-
ნება, როგორც შემოდგომის ბუზი
(ოლიონდ შხამიანი) და იგი უნდა მო-
კვდეს უახლოეს მომავალში და სა-
მუდამოთ.

მოვლენათა განვითარებამ, ის-
ტორიის ჩარხმა, ფაქტების ულმო-
ბელმა ლოლიკამ დახვრიტა
ყვიტა კაპიტალისტი ივარე კრეიგერს.
განაჩენი მოყვანილია სისრულე-
ში.

რა ბიჭი!?!

აღლარ-აღლარასან.

ნ.ბ. კომპოზიციის.



მშარნი:—ვიღუბები, გეგმა იშლება, გარდევები მაქვს.
ცოლნი:—გაუპიროვნება რომ იქონ იხვე შვებულებაში წავიდლით
და გადარჩებოდი.

პ ა ტ ი ო ს ა ნ ი ქ უ რ დ ი



(სცენა სასამართლოში.)

მოქმედება ჩვენს დროში. სიუჟეტი მშ პროფ. სინამდვილდა)

მალაქია—უზენაეს სასამართლოს პლენუმის თავმჯდომარე.

აკაკი ლეკაძე— უზ. სასამართლოს წევრი.

თედო კალანდია— ერთ-ერთ სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

ალიკო სუფსაძე— სახალხო სასამართლოს კოლეგიის წევრი.

პლენუმის წევრები— მოსამართლე-ნი, დარაჯი.

მალაქია— (პლენუმის წევრებს) — ამხანაგებო, თქვეუ მოისმინეთ ამხანაგ აკაკის მოხსენება— მოქალაქე ივანე გლადკაშვილის საქმის შესახებ, რომელსაც ბრალად ედება თავის ცოლთან ერთად სახელმწიფო მომარაგების მალაზიაში სისტემატური ქურდობა. სახალხო სასამართლოს— ამხანაგ კალანდიას თავმჯდომარეობით ეს საქმე გაურჩევია და მოქ. ივანე გლადკაშვილი გაუმართლებელი სიტყვა ეკუთვნის ამხ. კალანდიას.

თედო კალანდია— ჩემი დადგენილება ამხანაგებო! სწორია; ივანე გლადკაშვილი რა შუაშია, თუ ცოლი ქურდობდა! მე ვიცნობ მას; პატიოსანი კაცია და უდანაშაულოდ ჩირბი არ არისა მოეცხობ.

აკაკი ლეკაძე— ამხანაგებო, მე ამ საქმეს კარგათ ვავეცანი. ბრალდებელი, მომარაგების კომისარიატია— ამხ. ანდრო ეულაშვილის სახით. მთელი რიგი ფაქტებისა ადასტურებენ მოქ. ივანე გლადკაშვილის ქურდობაში მონაწილეობას. მე ვფიქრობ ასეთი დადგენილებისათვის სასამართლოს თავრე— ამხანაგ კალანდიას პასუხი უნდა მოეთხოვოს.

ნება მოშეცით რამდენიმე შეკითხვა მივსცე ამხ. კალანდიას და თქვენთვის ნათელი იქნება მოქ. გლადკაშვილის სახით ვისთან გვაქვს საქმე.

შეკითხვა პირველი: გამოირკვა და დადასტურდა თუ არა, რომ გლადკაშვილის ცოლი პროფესიონალური ქურდი ყოფილა და მომარაგების მალაზიაში საშახურის დროს ის იპარავდა საქონილს.

თ. კალანდია— დიხ, დადასტურდა... მაგრამ რა შუაშია მისი ქმარი— ივანე გლადკაშვილი.

აკაკი ლეკაძე— შეკითხვა მეორე: დამტკიცდა თუ არა, რომ ივანე გლადკაშვილი ყილდა კერძო ბაზარში მალაზიიდან მოპარულ საქონელს?

თ. კალანდია— დიხ, დადასტურდა... მაგრამ მან რა იცოდა, რომ ის საქონელი მოპარული იყო! საქონელს მას აძლევდა მისი ცოლი.

აკაკი ლეკაძე— შეკითხვა მესამე: კოსტიუმი, რომელიც მას ეხლაც აცვია, ნუ თუ არ იცოდა მან— ვინ მო-

უტანა, და მოპარულია თუ არა მომარაგების მალაზიიდან?

თ. კალანდია— კოსტიუმი მას აჩუქა ცოლმა. ნუ თუ ცოლს უფლება აო აქვს ქმარს აჩუქოს და ან უყიდოს კოსტიუმი? მართალია, კოსტიუმი აღმოჩნდა მოპარული, მაგრამ მოქ. გლადკაშვილს შეიძლო არ სცოდნოდა ამის შესახებ!

აკაკი ლეკაძე— შეკითხვა მეოთხე: როდის დაეკარგა მალაზიას კოსტიუმი, რომელიც გლადკაშვილს აცვია და როდის განშორდენ ერთმანეთს გლადკაშვილი და მისი ცოლი?

თ. კალანდია— როგორც საქმეებიდან ირკვევა, გლადკაშვილი განშორებია ცოლს კოსტიუმის დაკარგვამდის.

აკაკი ლეკაძე— შეკითხვა მეხუთე: —სანტიერესრა ვიცოდეთ, მართლა განშორდენ ერთმანეთს გლადკაშვილი და მისი ცოლი, თუ ეს იყო მათი თვალთმაქცობა. ცხოვრობდენ თუ არა ერთად ისინი, ერთ ოთახში, განშორების შემდეგ?

თ. კალანდია— მე არ ვიცი, რატომ განშორდენ ისინი ერთმანეთს. შე ვიცი მხოლოდ, რომ მათ აქვთ ოფიციალური დოკუმენტი ცოლქმრული კავშირის ერთმანეთთან შეწყვეტისა და განშორების შესახებ... რაც შეეხება იმას, ცხოვრობდენ თუ არა ისინი ერთად, ერთ ოთახში განშორების შემდეგ, როგორც გამოირკვა, ეს ასე ყოფილა, მაგრამ ეს აიხსნება ბინის კრიზისით... ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ ცხოვრობდენ ერთ ოთახში, მოქ. გლადკაშვილმა მომიგო: —მართალია ჩვენ ერთად ვცხოვრობდით, მაგრამ ვფიქვავ პატიოსნებას, რომ მე ცოლთან არავითარი კავშირი არ მქონდესო: ამხანაგებო, არ შეიძლება მოქ. გლადკაშვილის პატიოსნებაში ეჭვის შევიტანო!

(გაისმის ხმები: პატიოსანი ქურდი!).

დარაჯი— ხე, ხე, ხე, მოსამართლეც ასეთი უნდა!

აკაკი ლეკაძე— შეკითხვა მეექვსე: —რამდენი ხანია მოქ. ივანე გლადკაშვილი უმუშევარია და ბევრი გვეყავს თუ არა ჩვენ უმუშევრები?

თ. კალანდია— როგორც სჩანს გლადკაშვილი არ მუშაობს ერთი წელიწადია. ასეთი შეკითხვა საკვირველია, განა უმუშევარი თუა, უსათუოდ ქურდი იქნება?..

აკაკი ლეკაძე— შეკითხვა მეშვიდე და უკანასკნელი: —ყოფილა თუ არა წინად ივანე გლადკაშვილი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის პასუხისგებაში მიცემული?

თ. კალანდია— დიხ, ყოფილა, მაგრამ ეს მას არ ნიშნავს; თუ ოდესმე ქურდობა ჩაუდენია მას, ეხლაც ქურდი იყო!

ამხ. მალაქია— ამხანაგებო, ქმარა! მე ვფიქრობ, საქმე ყველასთვის ნათელია. თქვენ რას იტყვით ამხანაგო ალიკო?

ალიკო სუფსაძე— მეც იმას ვიტყვი, რაც მოგახსენათ ამხ. კალანდიამ... მეც ვიცნობ ამ საქმეს. მის გარჩევაში მონაწილეობას ვილობდი. მოქ. ივანე გლადკაშვილი მე მგონია პატიოსანი კაცია.

ხმები: მოსამართლენიც ასეთი უნდა!


ამხანაგი მალაქია— ამხანაგებო, აქ სიტყვა ზედმეტია.

ჩემი წინადადება ასეთია: სახალხო სასამართლოს დაითენილება მოქ. ივანე გლადკაშვილის შესახებ მისი გამართლების გამო— ჟარყოფილ იქნას. მოქ. გლადკაშვილი ცნობილ იქნას ქურდათ და მიესაჯოს ერთი წლის თავისუფლების აღკვეთა!

ამხ. კალანდიას და სუფსაძის შესახებ მე დავსვამ საკითხს სათანადო ორგანოში.

ვინ არის მომხრე ჩემი წინადადებისა? ყველა, გარდა ამხ. კალანდიასი... გადავდივართ მეორე საკითხზე...

მიშვარდი.




მალაქია და ახალი

1928 წ. 14

„დელეგაცია“

ნახ. ნადარეიშვილიძე.

„ერთი ლიგის დელეგაცია, რომელსაც უნდა გამოეცვლია ადგილობრივად იაკონია-ჩინეთის ურთიერთობა, ჩინეთში კიდევ უფრო სხვადასხვა წიგნებს და თავს არ იცნებებს საქმეზე“.





ჩინელი: — ბატონებო, ეხლა ჩემს ვაჭარებსაც მოჰყავდათ და იაკონელი: — უზრდელო, ვერა ზედავ, რომ სტუმრებს არა სცალიათ!



საბარათო აბრეშუმის მანქანის მანქანა

• გაყიდვები •



• გაყიდვები •

საბრეშუმის მანქანაში აბრეშუმს ვხედავთ ვარდს და ივბში, ფასები ჰქონდა წინედ მაღალი... ნიხრი დაადვენ ეხლა ახალი, დაუკლეს ფასებს (გამოაცხადეს) ჩვიდმეტ მანეთად უცხად გახადეს.

წინედ კი ღირდას ოცდა-მეოცად ვა ვერ იყიდდი ახ ასე მშვიდად). თუ არ უყიდდი ცოლს ახალ კაბას, გაგაგზავნიდა იგი ჯანდაბას. (ტყდებოდა ზურგზე თეფში და სკამი)... ჰყოფნიდა კაბას სულ მეტრი სამი, რადგანაც ჰქონდა

მას განი დიდი... იყიდე სამი და სახლში მიდი. შო-და დაუკლეს ფასებს და... მაგრამ განსაც დაუკლეს, ჩამოსკრეს მაგრად; გაუნახევრეს აბრეშუმს განი... მყიდველებს უყვებს მით „განი-განი“.

ჯმუკი.

ყ ლ ა კ ვ ი ს კ ო მ ი ს ი ა

— აღარ შემიძლია, მოგვედი, გავსკდი... — მოიცადე, კაცო, სირცხვილია, არ ხედავ- ჩინელი ლაპარაკობს. — ილაპარაკოს, მერე რა? უჩემოდ ვერ ილაპარაკებს?- შენ გენაცვალე, მე ეხლა წავალ სასტუმროში და დავიძინებ... — რამ გადაგვრია კაცო! რა დროს დაძინებას! ვერ მოასწრებ, შენ ნუ მომიკვდე. ოთხი საათი უკვე არის... 6 საათზე მიწვეული ვართ იაპონიის საკონსულოში... ამბობენ ისეთი ბანკეტი იქნება, რომ თავს დაგავიწყებს. — ვაჰ! კიდევ ვტყამოთ! გავსკდი, გელაპარაკები... — ნუ ჭამ კაცო! — გული აი მითმენს. — ...ჩვენ ღობად ვართ დარწმუნებული, რომ ერთა ლიგის კომისია მუშაობა... — ლაპარაკობს ნანკანის წარმომადგენელი... — რას ჩერჩებობს, ვინ უკენს მაგ უხედურებს. მისტერ, პიკეა მაგი ნაკერი, კარგად გამოიყურება.

— ნუ ჭამ, მალე სალამოსათვის შეიწახე. — არა უშავ, მადაზე მოვალ ატაც. — ...ლოგამს ამოსდებს მტაცებელ იაპონიას... — მისტერ, მგონი გაათავა როშვა.. აუი... კიდევ აგრძელებს?! — მისტერ, რა მაგის პასუხია და ისეთი ფარჩეულობა ვნახე სენტლომენტი (უცხოელების უბნის) ერთ-ერთ კუთხეში, რომ უკეთეს კაცის თვალი ვერ ნახავს. — ვიციდოთ, უსათუოდ ხვალ დილით... — ხვალ დილით არ გვეცლება.. უთაქა“-ს კომპანია ბანკეტს გვიმართავს... — ვაჰ?! კუჭი გამოგანიერდა ამდენი ჭამით.. კი მაგრამ ფიზიკურადაც აუტანელია ამდენი ჭეიფი. — შენ ყურუშხალო, ჩინეთი ამდენ ზარბაზნების ყუმბარებს, ამდენ დამტორებას იტანს და შენ ჭამა ვერ აიტანე?

— ჰო... შემადარა ახლა ჩინეთს ჩინეთს სულიც ამოშობია... მე ჩემი კუჭი ჩინეთსაც მიჩრეენია და იაპონიასაც. — ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, ჩვენ ამოსწორავთ ყოველივე ზომებს, რომ თქვენსა და იაპონიას შორის ჩამოვადოთ სრული მშვიდობიანობა... — ერთი ამას უყურე!? გაძღა და აუტყდა ენის ფხანა... ერთი უთხარი მაგას — დაეგდოს... ალბად არ იცის რა ძვირფას დროს გვაკარგვინებს.. ალბად არ იცის, რომ ერთ საათში უკვე მეორე ბანკეტზე ვართ წასასვლელი... მოკიდე ფრაკზე ხელი და დასწი.. — აბა, მაესტრო, მარში... აი მთელი იმ „საქმიანობის“ შინაარსი, რომელსაც იწვევა ერთა ლიგის მიერ ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტის მოსაგვარებლად გაგზავნილი კომისია, რომელსაც ჩემმა ჩინელმა მეგობარმა ჩიჩი-ოუიმ სამართლიანად უწოდა „კომპანის კომისია“.


საგვირ-ბენ შვიხ

უსიონეთი

№ 112 სასაბლილოში ნახ. გ. იორჯიანიკიძის

(წერილი სოფლის)

უსიონეთ ყველამ, ყველამ
 ამ ჩემს რადიო-ცნობებს,
 ვამხელ საქვეყნოთ ეხლა:
 — მანიაცებს და ქვეყნობებს.
 საქმეს ავსა და ტიპოს,
 ნაკოს, დანაშაულს, დიორქტს...
 გავამხელ რიგ-რიგობით,
 არაფერს ვიტყვი ზედმეტს.
 ქალაქის კომუნის მინდა
 ფუთახრა სიტყვები მტკიცე:
 ქალაქს სინათლე უნდა
 სიბნელე წაჩსულს მივსცეთ.
 ქალაქის წყალსადენი
 ვაი, რომ არ მოთავდა,
 ლოდინი გვეკლავს ამდენი
 ჯავრით მრავალი ვახდა.
 თეატრს გვპირდები ახალს,
 ფუნქციონირს კობტას,
 კლუბს, სამკითხველოს, მრავალს,
 კარგია თუ ეს მოხდა.



პირ. სტ. — დალიე წყალი და წავიდეთ!
 მამო: — რად მინდა წყალი? სუფი
 ავლიე!

აპა ამბავში „სოიუსტრანსში“

სამზახროთ მოგვმზადე
 და ბარგიც გამოვკარი.
 და დილით „სოიუსტრანსში“
 რიხით შევალე კარი.
 აპა, გამოჩნდა ავტო,
 ვით სხვა, მეტეამხარა
 ვფიქრობ— გვემველა ბარჯო,
 ბილეთს ავიღებ ჩქარა.
 ივსება ხალხით ავტო,
 სალარო არ იღება.
 მე დღევან რიგში მარტო
 და ფეხზე მეყვინებდა.
 ხმა მესმა სალაროდან,
 მივხვდი საქმეა რაშიც,
 უკნიდან მოუარე
 შევსძახე ფანჯარაში:
 — ერთი ბილეთი, ჩემო...
 — აქედან არ იქნება.
 იცი თქვენ, ფანჯარასთან
 დგომის, რომ არ გაქვთ ნება?
 — ეს კარგად ვიცი, მაგრამ
 ის კი არ მოგდით გონში
 რომ ნაცნობები მალვით
 შეგყავთ თვით სალაროში?
 გახჩო.

ჩვენი ფოსტის მუშაობა

ნახ. გ. ისაევის



ჯოს.
 — ერთი წლის წინედ რედაქციაში წა-
 რილი ვაგვზაფნე და ახლა დაუბეჭდათ.
 — რას ამბობ! ეს გაზეთიც ხომ წარმან-
 დელია!

ეფროსინე, ბეჩა,
 გამარჯობა შენი,
 მითხრეს, რომ გამხდარხარ
 სოფლის დამანმენი...
 მითათურობ თურმე
 კოლექტივსა სოფლის,
 სახესა გბანს შრომა,
 ნიაღვარი ოფლის...
 აქალ საქმეს მიზანს
 წარუძეხვი წინა
 უნდა დანიარზმონ
 თამრო, ქეთო, ნინა...
 ვანო, სერგო, პავლე,
 მიხა, მიტრო, სანდრო,
 გამოცდილი არის
 ლევანტი და ანდრო...
 ერთად, მტკიცედ ისევ
 კოლექტივსა აოგეთ,
 ახალი და კარგი
 მოაშენეთ, დარგეთ:—
 ლიმონი და ჩაი,
 ნამდარინიც ბევრი...
 სოია და რამიც
 უნდა იყოს წვერი...
 ძვირფას კულტურებსა
 ფართე სარბიელი,
 ჩქარა განიდევნო
 უფარგისი, ძველი...
 მე კურსებზე ვსწავლობ, —
 მინდა მოგემველო,
 ახალ ყოფნა-საქმის
 გაეიტანო ოოლო...
 კარგად იცი, წინად
 რა დოი გვადგა ქალებს,
 აბი ვინ უტყერდა
 ტანჯულს, შესაბრალებს...
 ეხლა სულ სხია დროა, —
 წინსვლა, აზრი მეფობს,
 ქალაქსა და სოფელს
 ყურადღება შეეფობს...

ზიტა.

ქ რ ი ზ ი ს ე ბ ი

„დღეს მერცხალი შემოფრინდა,
 ქიკვიკითა გადმომძახა“,
 კრიზისები, კრიზისები,
 გულს იმედი ჩამუსახა.
 გი... სარამელს, გადავხედე
 არე-მარე მესხვაფერა,
 სასოებას გამიტაცა
 შამოვძახე რაშო-რერა
 დაიინახი ამერიკა,
 ჩასრევენოდა
 რაბლა ფრთები,

და ინგლისიკოს ეძახოდა
 დამეხმარე ბიჭო, გვედები!
 ინგლისმა კი უპასუხა:
 მე რა გიყო ძამიო,
 ეხლა ჩემი არსებობაც
 სიმწარე და შხამილია.
 დავინახე გორმანია,
 რომ ბეჭდავთ ტანკის კარებს,
 ქურბში კი ჰრება ქონდათ
 უმუშევარ პროლეტარებს.

— დიოავ, ფეხი, დედავ ფეხი,
 წყალი მასვით, ვინმემ ერთი,
 გადვიხიოი, დავინახე
 უბედური საფრანგეთი.
 კრიზისების ბაცილები
 შევჯდომია მსაც ტანში,
 და ტარდიე სამორნალოდ
 მიდიოდა თენევაში.

ს. ძნელიძე.

გ უ ს რ უ ჯ ი

ლორების თავდასხმა


პატიოსანი კაცი

მეგობრებო — დაიწყო ერთმა ლორმა, — როგორც ხედავთ კოლექტივებში ჩასვლის უფლება აღარა გვაქვს. საკმეფს ველარ ვშულოლობით. ხომ ხედავთ როგორ გავხდით?!

— დედები ველარ გვკვებავენ, რძე

არც ერთ დედა-ლორს არა ჰყავს! — დაიძხა ერთმა გოჭმა.

— მე წინადადება შემომაქვს — გავგზავნოთ რამდენიმე ჯიევი ლო-



არა აქვთ იყავი. — აქყვირდენ გოჭები.

— ეს იმიტომ, რომ საკვები არა გვაქვს! — თავი იმართლეს დედა-ლორებმა.

— მეც ამას ვამბობ. ამიტომ უნდა გამოვწახოთ კვების შიფტის საშუალება.

— სადგურს დავესხათ თავს!

— მეც მაგ აზრისა ვარ. სადგურში ძალიან ხშირად ჰყრია უპატრონოდ ათასგვარი ბაგაეი.

— წავიდეთ, წავიდეთ! — დასჭკვირეს ვოჭებმა..

— თქვენ ვინ გკითხავს? ვისი მცამეტე გოჭი ხართ! — შეუტია მომხსენებელმა.

— მეცამეტე ჩვენში არავინ არ არის. ცამეტი გოჭი ჩვენს დროში

რის. ესენი დაათვალეირებენ სადგურს და ამზავს მოვეტიანებენ.

— ცოტა ხნის შემდეგ დელეგატი ლორები დაბრუნდენ და ამზავი შიიტანეს:

— სადგურში უამრავი ბარგია, სურსათ — სანოვაგე. საჭიროა მოულოდნელი თავდასხმა. რკ. გზის დარჯეები სამიკიტროში არიან და დვანოს შეექყვიან. ბარგი უპატრონოდ ჰყრია.

ლორების ჯიევი სადგურისაკენ დაიძრა.

იმედი გაუმართლდათ — ყველანი გამძღარი დაბრუნდენ.

ლევარსი.

მეჩქმეთა არტელი დაბაში კარგად მუშაობს.

— არტელის წევრებს ყველას გული შესტკივთ წაბოვებაზე. გამვე პატიოსანი კაცია.

გუშინ ტფილისიდან დაბრუნდა და გამვეობას ანგარიში ჩააბარა.

— ყველაფერი წოსზეა, მარა ტფილისიდან მგზავრობას ბილეთის ფასის შეტანა დაგვიწყობია ანგარიში. რა ღირს ბილეთი ტფილისიდან? — შეეკითხა გამვეობის წევრი პატიოსან გამვეს და ხელში ფანქარი მოიპარჯვა.

— ამხანაგებო, ტფილისიდან გამომგზავრების დროს რკ. გზის ბილეთი აღარ მიყიდა. უბილეთოდ წამოვედი. ქრისტიანი კონდექტორი შემხვდა. ცოტა ვადაკრულში იყო ის ოჯახამენებელი და მთელი ღამე იძინა... ასე რომ იმიდან ბილეთის ფული არ დაიხარჯავს და ამიტომ არც მერგება, ხოლო „რაც არ მერგება. — არ შემერგება“ — ასე იტყოდა სულსხონებელი ბაბუაჩემი. შეეცდი, რომ აქედან წასვლისას ვიყიდე ბილეთი. ისე ავედი ტფილისში, რომ არავის მოუთხოვია

— ამხანაგებო, — განაცხადა უცხად გამვეობის წევრმა, წინადადება შემომაქვს — ასეთი გულშემეტკივრობისა და პატიოსანობისათვის დავაჯილდოვოთ ჩვენი გამვე ჯერ-ჯერობით ნახევარი თვის ხელფასით. წინადადება მიიღეს.

ისელი.

ლ რ ი კ მ ნ ღ უ ჯ ტ ლ რ ი

— ღმერთი არ არისო, რადერ უნდა თქვა კაცმა. — ელაპარაკებოდა კონდექტორი ამხანაგს. (ისინი სადგურიდან მოდიოდნენ).

რაზე ვამბობ რა იმაზე, რომ, კაცო, წინედ უბილეთოდ წაიყვანდი კაცს და შემოსავალი გქონდა...

— მერე და ზოგიერთებს ახლა ცოტა მგზავრები მიგვყავს თუ?

— ახლაც მიგვყავს, მარა ახლა ეს ამზავი სახიფათოა. წინედ მიგაკონდა — მოგეჭონდა რაღაცეები, ცოთი ქლაქიდან მეორეში და ფულს ვაკეთებდით.

— რაეა ახლა ნაკლებ ვსბეკულისანობით ზოგიერთები თუ?


— კი, მარა, საჭე იმაშია რომ ყველა ეს ახლა რატომღაც სარცხილი და საძრახისი გახდა.

— საქებარი არც წინედ იყო, მარა მაინც ვმერებოდით. მარა ღმერთი მაინც რა შუაშია აქ?

— იმ შუაშია, — კაცო, რომ აი ბაგაეი რომ არის, ძალიან კაი საქმეა! ჩემსას რომ მოხვიდეს, ჩემს ცოლს საესე აქვს: ქართოფილი, კაპუსტა, კარხალი, ვაშლი, მსხალი, შუშა და რა ვიცი...

— მერე და საიდან არის ეს? — თითქოს არ იცო საიდან არის! — ჰო-და რომ ვიცი, მე რას მუუბნები. ვინც არ იცის, მას უთხარი და ასწავლე.

ჩინ-ტინ-ტინ.



— სიბინძურეს რომ თავი დავანდოთ, ასეა რატომ არა ვაქვო. — მოგვხსენებთ — სინათლეში სიბინძურეც გამჩინდება და ამიტომაც სიბნელე ხვობია.

— თუ ძმა ხარ ამისხენი რა არის რეილა, რომლის შესახებ ალაპარაკდა მთელი ჩოხ-ტურის ამ ორი დღის წინად?— შეეკითხა ჩოხტურის რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარე ამავდ რაიონის რახილბოსტანკავშირის თავმჯდომარეს.

— მართალი გითხრა, რეიდის მტე არაფერი ვამეგება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ რაისკონტროლო კომისია-მუშგლები და გლენკორთა დამკვერელი ბრიგადები, ამოწმებენ რაიონის ორგანიზაციების მუშაობას საგანგებულო კამპანისათვის მზადების საქმეში! ამ სიტყვების გავრცელებზე პროფსაბჭოს თავმჯდომარეს შიშის ფერმა გადაკრა და შეეკითხა მოსაუბრეს:

— მერე და როდის იწყება თუ იცი იგი რეილა თუ რაქსა ჯინდება?

— ამბობენ, 16 თებერვლიდან!

15 თებერვალს ღამის 12 საათზედ პროფსაბჭოს ბინაზედ დიდი ფუსფუსია.

ძალზედ გახტვებულ ოთახში მაგიდას შემოსხლდომიან რაიპროფსაბჭოს და სხვადასხვა კავშირების თავმჯდომარენი.

— ისეთი გეგმა დავსწერე, ისეთი, ისეთი, რომ ხეალ ბრიგადას სულ თვალებს აუბამ. თავს ქვეყნის ბუნებრივად მოვარეგებ!— სიხარულით წამოიძახა განათლების კავშირის თავმჯდომარემ.

— შენსას არც ჩემი ჩამოუფარდება!— შეეცოლა საბ. საეპრო კავშირის თავმჯდომარე— არ ვიციოდი ასეთი ნიჭიერი თუ ვიყავი, თორემ გეგმას ურეიდოდაც კი დავსწერდი.

— სამანქანო-სატრანსპორტო მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე სადაა?— იკითხა პროფსაბჭოს თავმჯდომარემ.

— საქმით ხომ არაფერს არ აკეთებს და არ აკეთებს, და გეგმა მაინც შეედგინა იმ ოჯახში— გაჯავრებული ჩაილაპარაკა თავმჯდომარემ და თაისს „საქმე“ განაგრძო.

— თქვენი გეგმების საფუძველზედ მტე დავამთარე პროფსაბჭოს გეგმის შედგენა!— სიხარულით წამოიძახა საჭოანთა უხუცემა და საათს დახედა.

— ნამდვილი დამკვერელები ვართ, ბიჭებო, ნამდვილი, უკვე თორმეტ საათს გადასცილებია და ჩვენ მაინც ვმუშაობთ. ყველაფერი მზალა, გვაკლია ცოტა რამ, გვგმობს შედეგის თარიღი ერთი თვით მაინც უკან უნდა დავსწიოთ, თორემ ბრიგადს მივივხდება ოინზაზობას!— თავმჯდომარის ეს გენიალური აზრი ყველამ ერთხმად მოაწონა.

მეორე დღეს თავმჯდომარეს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მუშგლების ბრიგადასთან.

— არა, ამხანაგებო, როგორც ამ უტუქუ-არი დოკუმენტებიდან ჩანს საგანგებულო ბოლშევიკური თესვის გეგმა ჩვენ ჯერ კიდევ დეკემბრის პირველ ოცხვეში გვქონდა; მაგრამ დღემდე თუ არაფერი არ გავიკეთებთ, ეს ახსნება კლიმატური მიზეზებით და ბუნების სტიქიური მოვლენებით, რომელმაც ხელი შეგვიშალა საქმის დაწყებაში.

ბრიგადამ დამკვერელებით შეისწავლა ყველა დოკუმენტები, მაგრამ რეიდის საშედეგო თათბირმა დოკუმენტალ მარტო ის შილია, რომ პროფსაბჭოს და ცალკე კავშირებს ჯერ არაფერი არ გაუკეთებიათ თესვისათვის მზადების საქმეში, რომ მათ გეგმა რეიდის გამოკახების შემდეგ შეადგინეს და მას დეკემბრის თარიღი დასვეს.

როდესაც რეიდის საშედეგო თათბირზე პროფსაბჭოს წარმომადგენლის გამოუტყდადებლობის გამო მისი საქმე მუშგლების გადაეცა. დაღონებული თავმჯდომარე ნაღვლიანად გაიძახოდა: — რეიდმა დააქცია ჩემი საქმე!

ნიშაღარი.



ამქარი

უღარდელად ღამდებოდა „ზაფხვ“ ნიკობის ღღებები ქეიფობდა და სუფრაზე ჰქონდა კვარტების ტყეები. ცარიელ კვარტს კი არ ვაშობ, ღვინით სავსე კვარტები; ღაქლაჯობდენ მის ლოყები. ვით მაისის ვარდები. ქალებიც თავს ევლებოდენ თინიკო და მერია, მაგრამ ერთ დღეს ნიკოს სახეს შეეცვალა ფერია. მერე იცით, რატომ მოხდა ნიკოს ფერისცვლება?? რად დასწემდა ნიკოს თვალებს წამება და წვალება?— გამეგე უთხრა—ქარხნის გამეგე: —„ვადით ღღე გაქვს სამიო, ჩვენ ოთახი გვეჭირვება რომ დავყაროთ „ხლამიო“. ესე იგი ხარა-ხურა, — აქვე გამოხახელა“.

ამ ბრძანებამ შეუცვალა საწყალ ნიკოს სახეო. ორი დღეა თიქობი! ნიკო, დარღისაგან ჩამოხმა, ვერ გადაჭრა ეს საკითხი, ჯავრი ახრობს და ბოღმა. საღ იშოვოს იმან ბინა ამ კრიზისში ბინების?!... არ—და გამეგე ჯიუტია, მტერს იმისი აბილიბი. მესამე დღეც ახლოვდება გამეგის ტუქსევა-ჩხუბისა, მაგრამ ბედზე ნიკოს შეხვდა გამეგე ქარხნის კლუბისა. შეხტა ნიკო სიხარულით „რომ ვიმტრევი თავსაო“, კოეზი რად არ გამახსენდა? იქ დავაწყობ „ხლამსაო“. გადაჭრა და გადასწყვიტა, გათავდა სამძიმარი, და გამეგისკენ გაეშურა კოლუმბივით მღიმარი.


სიკიბო

ნიანგის საკბილო



აბესალომ ინტრიგანიძე.
(მალლაკი, ქუთ. რაიონი)

ღვამიას ჯანში
(ჩხარი)



„აქ გდებით, მუღამ
ობი ზოგედისა“
ეს ხმა მოესმა
გამგეს ფოსტისა—
როცა მობრძანდა
ის კანტორაში,
კაცი ცნობილი
მთელსა დაბაში).
კიდევ მოესმა
გამგეს სხვა ხმები:
„მოგვხედეთ, ვლპებით
მუღამ აქ გდებით—
თავები გვზრავენ,
ეს სადავლები,

„თქვენ სამაგლებო,
დაწყნარდით, ჩქარა,
აქ რომ გინახავთ
თქვენთვის არ კბარა?



სოფლის აგროტექნიკა
აბესალომ—ინტრიგანი,
(მოღვაწეობს ამნაირად,
აქ ბრძანდება კარგა ხანი).
გლებებს უბღვერს და უყვირის
იცის ღრენა და ცაცხანი,
ნიანგო, ერთი დაჰკარი, ,
გაუსწორე სიგრძე-განი.

აქ ვვლივართ კიდევ
რიცხვით მრავალი,
ჩვენ—ღებუშები
ძველი—ახალი.
გამგევ—გვიშველე
გვიშველე—ბარემ,
ჩვენ—ჩვენ პატრონებს
გთხოვთ, ჩავვაბარე!“
—გამგეს რა ესმა
მათი ჩივილი,
განრისხდა მყისვე
მორთო ყვირილი:

„ჩუმდით თორემ
ცეცხლს მიცემთ ყველას.
ვინც არ ისვენებს,
ჯანყობს და ლელავს!
აქ მე ვარ გამაგი,
აქ ვზივარ, მძინავს...
და რაიც მინდა
ჩავდივარ იმას.


მარხნის ჩივილი (ყულევი)



ხე-ტყის ქარხანა ჩიოდა
ტულ დღეს ვარ გაჩენილიო,
არავეინა მყავს პატრონი
ჩემზე ზრუნავდეს იგიო.
წყალში ვარ შეცურებული
ვიხრჩობი, ვაი, დედაო,
სადა ხარ; ჩემო პატრონო;
ნუ თუ ამას ვერ ხედავო.

მიველ ვნახე წისქვილი

(ყულევი, ფოთის რაიონი)



სოფ. ტაბაკინი (კლდეითი, ზესტაფონის რაიონი)

აქ არა ჰყავს სამკითხველოს
გამგე ანუ ხელმძღვანელი,
რადიოზე გააკეთა
ობობაბა თავის ქსელი;
რაც რომ იმან ხმა გაქმინდა
თითქმის არის ორი წელი.
შრომის სკოლა ვადაიქცა
სასეირნოთ აქ ღორების,
ნიანგოვან, არ გეგონოს
მოგონილი ეს ჭორები,
სკოლის გამგევ, გაიღვიძე,
გეჟოს ესდენ ტკბილი ძილი,
აწ ნიანგო, შენ იცოდე,
შენებურად გაჰკარ კბილი.
სმარგოს ბიჭი.

მოდი ვნახოთ ყულევის
კოლექტივის წისქვილი,
მიველ ვნახე წისქვილი,
დაკეტილი ის-დილით.
დაველოდე გამგესა,
საათით, არა წამით,
მაგრამ აღარ გამოჩნდა...
ისევ მოვედი ღამით.

მოველ ვნახე წისქვილი
კვლავ დამხვდა დაკეტილი,
შუადღითაც, ღამითაც
საღამოსა და დილით.
კიდევ ვნახე წისქვილი
ოაკეტილი დამხვდაო,
„ოთხრეს—მაგისი გამგე
საღლაც დაიკარგაო.

სადგ. ხრესილი

შუბროკრული საშუაარი

— სად მსახურობ ლექსო შენ?
— ხრესილში, რკინის გზაზე ვმუშაობ.

— ეს მითხარი დახურული სასადილო გახსნეს?

— დახურული სასადილო კი არა სადგურში ბუფეტის სახელით, სამიკიტნო გახსნეს ყოფილმა მიკიტნებმა გვენტაძეებმა. ნაფთს, შებენს, და ბინას რკინის გზა აძლევს უფასოდ რა ენაღვლებათ—ლოთობენ, ჩხუბობენ და იგინებინან, რის გამოც დაიბრუნა შუბროკრული ვერ შედიან და ღია ცის ქვეშ უნდებათ მატარებლის ლოდინი.

— ადგილკოში და სადგურის უფროსი რა ზომებს ღებულობენ?

— სადგურის უფროსი—თურმანძე ენერგიულ ზომებს იღებს მათ დასახარებლად.

— ნადის თავი დევდარიანი კიდევ ლოთობს?

— ლოთობს კი არა, ამ ბოლო დროს სამსახური მიატოვა, კარვად გამოთვრა და დარაჯხ მ. ბუბაშვილს ცემა დაუბირა.

— მერე ადგილკოში ობოლად რა ზომებს ღებულობს ამის წინააღმდეგ?

— რა ზომები უნდა მიიღოს, ის დევდარიანზე უარესი ლოთია, პირიქით ხელს უწყობს მას.

— სადღესობა კომისია როგორ მუშაობს?

— სადღესობა კომისიის საქონელი თვითონ მიჰქვს. ისე კი ამბობენ: ეს დამკვირვებელთათვის, ეს მიზნობრივიცაა.

— კედლის გაზეთი ყოველივე ამის არ ებრძვის?

— როგორ უნდა ებრძოდოს, როცა ნოტიმბერს აქვთ არ გამოსულა.

— ახლა ნახვამდის ჩემო ლექსო და „რაიტოს“ რონოდის გამგეს გადაეცემა, რომ თეთრი ფქვილი შემინახოს, ხო, ისიც უთხარი კალოშის და ფეხსაცმელის რა ქენი, რომ შემპირდითქვა.

მანხველი

დაზღვეული შერილი მიხეილ ჩიქვინიძე

ჩემი კალმის სანატრილო, ძველო ნახუტარი, მიხეილ!

ვინაიდან შენ პირადი ავტობიოგრაფია დაგიმალავს გამწმენდ კომისიისათვის, ქუთათორი მუშაობების დავალებით ვიკისრე მე ადვოკატო შენი წარსული მოღვაწეობიდან ზოგიერთი ფაქტები.

საქ. გამაზობების შემდეგ შენ მღვდელი იყავი ბაღდადის რაიონში და ანაფოროთ დაფორიალოზმდი სასაფლაოებზე და ტაბლა კვერცხებს იყრიდი ანაფოროზე მიკერებულ ხურჯინისებურ ჯგობებში.

ანაფორო გაიძვრე იმ პირობით, თუ შენ

რვა მარტის ბრალია

ბრიყვაძეს, რომელიც პროტექციით იყო მასწავლებლად მიღებული, ასეთი უპატივება მისცა მოწაფემ, როდესაც იგი რვა მარტის მნიშვნელობას აცნობდა მათ:

— ვინ არის, მასწავლებლო, ყველაზე სახელგანთქმული ქალი მვეყანაზე?

ბრიყვაძე გაშრა ამ კითხვაზე, მაგრამ მანაც უპასუხა შემდეგი:

— ყველაზე რიბი ქალი, ბავშვობა, მთელ ქვეყანაზე იყო „ანაბაჯი“.

— როგორ, როგორ, მასწავლებლო, გასმა მოწაფის ხმა.

— აი, როგორ ბავშვობა:

ანაბაჯი ერთი დარტყმით კამხეჩს აქცევდა, ჯოხის იარაღით დათვს კლავდა, უსამართლობას ებრძოდა, ყარაღებს გასაქანს არ აძლევდა, და ვინ იცის კიდევ რას... იმისთანა დონიერი ქალი ისტორიის არ ახსოვს ჯერ.

— როგორ თუ არ ახსოვს!—შეეკამათა მოწაფე. ანაბაჯზე უფრო ლონიერი არ არის ის ქალები, რომლებიც ტრამევის კონტრტორობას უძლებენ, დაზებთან მუშაობენ და ტრამევის ვაგონები, რომ მიჰყავთ?

ლია შერილი

კეთილარის (აბაშის რაიონში) გლახკომის სასადილო მამბე ვარლამს

გამარჯობა ვარლამს!
როგორ ხარ, ხომ კარგად?

რა გიჭირს, იქიფე ყოველ საღამოს, საჭმელ-სახმელი ხომ ზლომად გაქვს დუქანში.

ძმაოჯან, გავიგე, რომ თქვენი საქმეები არეულიაო, ფული გაფლანგეს და გლახკომს ათასი მანეთი ვალი აქვსო!

მუშგლეჩინმა რომ გაიგოს, ვაი შენი ბრალი, ცვადე, რომ მის ყურამდე არ მივიდეს. წერილი მომწერე, ველი პასუხს.

შენი კეთილისმუსურველი მეგობარი ჩ. ჩაბანაძე.

კ ი რ უ ლ ა

(კვანახის ლექსებიდან)

— ტაში-ტუში ტუში-ტაში, რა გაჩქარებს ბიჭო სახლში? მოდი მინჯე, თუ აჯობებ ჩვენს მემსრეს ღვინოს სმაში.

დღეს მიიღებს იგი ჯილდოს მატარებლის დამტყვევებში, მყარირი ხვალ იქნება ვიქეიფოთ... ტაში... ტაში...

დიპტობიტომ, დაპტიმიტომ... დაუარე თუ გაქვს ხოში, გესმის, ზურნა ლექსის უკრავს ჩვენ რკინის გზის ადგილკოში.

აქ მუდამ დღე ქეიფობენ ხან ჩხუბია, ხან სამღერა, მოდი ნიანგს შეუთვალეთ აორტხოთ გულის ძეგრა.

აბა ბიჭო, ტაში-ტუში! გენაცვალე კაკალ გულში, ჩემი ლექსი გაიგონეთ, გამოიოთ ბაშა ყოჩში!

საათია სემადორთაი ორთქლმავალი იცის, ქშინავს, სადღურში კი „ნაჩალნიკის“ თანამემწეებს ტკბილად სძინავს.

რას მიბღვერით? დაპკათ ტაში, სონა, ოლა, ვარა, თინა. ამ საღაოთის მოღარემ თქვენც ნეტავ ხომ არ მოგაწყინათ?

მერე რაა, თუ ჩვენ იგი არ გვიბრუნებს უკან ხურდას, — ჯამგირი არ მყოფნისო გამოორჩინა მიტომ უნდა.

შურს ზურგზე შენ აგაბობს აბაზს გიგლას, ქეთოს პავლეს. ეამბობ, მათზე ახი არი, რადგან ჭკუა ვერ ძმწავლეს.

განეთში რომ გამოქმინეს რისთვის. ლომ კარგად იცის, ბრაოდება ქე დამტყვიცა, დამწერზე კი დღესაც იბრძვის.

მერამ მისმა ბრძოლა-ლანძღვამ მუშკორი იირ დააღონა— შეაყენე მავ ტროიკა კობახიძის ქაოო სონა!

თალა-თალასქი

„ეპოს“ გამგეობაში ავგორვედენ. ბაღდათის კულაკობაში გაგმართა სურვილი და „ეპოს“ ხარჯზე სახლები იყიდე ქუთაისში.

ბაღდათიდან გაქვევებულმა, შემდეგ—ქუთაისის უმუშევართა კოლექტივის ღვინის მარანში ამოყვედი თავი, იქ გაქარ-გამოკარი მსუნავი კბილი უმუშევრების დოვლათს, წყალი „უთაქე“ სუფთა ღვინოს და მთელი ღვინო ძმარათ აქცე. შენი მიზანი განხორციელდა, ღვინო იზარალა უმუშევრებმა და ძმარით გაფუჭდა.

ხომ მართალია ეს—ყოველად წმინდაო მიხეილ?

ახლა გეკითხებით: როგორ მოახერხე ან და ვინ შეგიბრალა „საწყალი მღვდელი“ რომ „ზასკაოლს“-ის დაშვადების სექტორში მოგვცა სყვარელი პორტუგალი?

ვიცი, შენ იმდენად „დატვირთული“ ხარ საქმეებით, რომ დრო არ გექნება აბსუხის, მაშინ მოვიდათო მუშგლეჩინმა მინც გამოარაკეთოს, ძველი ნახტურები და დღევანდელი კომინატორები—გარდაქმნიან თუ არა კოპერაციის მუშაობას სოციალისტურ ყიდაზე?

შენი მამბარი ხლისტი

კვერცხის მოქაზარი

სოფ. მალაქი. (ქუთაისის რაიონი) ადგილობრივ სკოლის მასწავლებელ ქალს—მოსწავილს შეუყვარდა თოლხო კვერცხები; ყოველდღიურად მიირთმევს ათს. ვინაიდან კვერცხების შესაძენად საჭირო ფულის ხარჯვა მასწავლობის ეზარება—უკანასკნელმა უბრძანა მოწაფეებს მოამარაგონ მათი საყვარელი პედაგოგი კვერცხებით. ბრძანება ჯერ-ჯერობით ტარდება სათანადო და სასურველ შეიქმნა აღწევს.

კიკო.

„საბა“ ჭირი“

ჭვანჭი. (სამტრედიის რაიონი) ადგილობრივ სკოლაში სობინძურისა და ქუქუყის გამო გაჩნდა შავი ჭირი. თემსაბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით სკოლაში შესვლა აკრძალულია.

მარბედ.

მშვიდის დაკარგვა

მალაქი. უგზო-უკვლოდ დაიკარგა პუნქტის ექიმი გოცირიძე. მნახველი მიიღებს ჯილდოს აფთაქის გაშვებ—ნიჟარაძისაგან.

ამ დღეებში საღვთო გაფრინდა და აღარ დაბრუნებულა საბჭოს კედლის გაზეთი. ამბობენ, რომ გაზეთი „გააფრინა“ სარეწაო არტელ—„მალაქის“ თავმჯდომარე ვასილშვილს. კვლევა-ძიება სწარმოებს.

გვრანა.

უბედური შემთხვევა

ძირულა. სურამ-ძირულის გზატკეცილის ადგილკომის თავმჯდომარე ცხოვრებად სიძოვრალის დროს — გადმოვარდა გაქანებულ ცხენიდან და მოიტეხა მარცხენა ხელი. დაშვებულს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება.

კირიკიტა.

ახალი წამალი

ეწრის თეში. (სამტრედიის რაიონი) ადგილობრივი საქონლის მისაღებად შემოღებულ იქნა ახალი წესები, რომლის მიხედვით საქონელს მიიღებს მხოლოდ ის წევრი; რომელიც დაათრობს არჩილს, პლატონსა და ბუაძეს.

გვრგვლი კვლი.

ლიკინი

ს. ქვენა-ტყაცა. (სტალინის რაიონი) მოხსნილ იქნა თანამდებობიდან თემსაბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც მუშაობის ნაცვლად მუდამ ეძინა. მის მაგივრად არჩეულია ახალი თავმჯდომარე; უკანასკნელი ერთი თვეა; რაც არჩეულია; მაგრამ ჯერ-ჯერობით თანამდებობას არ შესდგომია. ამბობენ —ახლად არჩეული თავმჯდომარე ჯერ-ჯერობით ფიქრობს და ვერ გადაუწყვეტია თუ როდის შეუდგეს მოვალეობის ასრულებას.

ქარხალი.

როგორც საქმიანი კაცი, ყარამანი ყოველთვის ჩაფიქრებული დადიოდა. ქუჩაზე გადის დროს ნელ-ნაბიჯს აუჩქარებდა — ეშინოდა, როგორც ყოველ მოქალაქეს საზოგადოთ, ავტოს ან ტრამვაის არ დაჯახებოდა. სიფრთხილეს თავი არ სტყავა, მაგრამ თურმე სიფრთხილესაც ცოდნა სწინდებდა თავის ტკივილი და ერთხელ ყარამანი ტრამვაის ქვეშ მოჰყვა... და ჰოი საშინელება! ფეხი მოსჭრა.

ქუჩაში მოძრაობა გაჩერდა; უი, საცოდავი. მოკვდა? — იხმოდა ხმები. მილიციელი საყვირით. განგაშს სცემდა, ვამოიძახეს სასწრაფო დახმარება. ყარამანი ცალ ფეხზე წამოიღო და თავისი კაკუქა ჯიბეში მოიშარჯვა. — ყოჩაღ, როგორ მარჯვეთა.

როგორ არ იმჩინეს ტკივილს. გმირი ყოფილა! მალადეც! — ისმოდა ხალხში.

— ხალხო დაწყნარდით, არაფერი არ მომხდარა ისეთი, ჩემი ბრალის, ფრთხილად არ ვიყავი.

— ხედავთ? ჩვენვე გვამწვიდებს: აი ვაჟაკიც ამას ქვია! იძახდნენ ვანცვიფრებული მოქალაქენი.

ყარამანი ჯიბის დახმარებით თავის ფეხს მიწიხდა, რომელიც ქვაფე-

— გამოართოთ საცოდავს, ის ფეხი რაღათ უნდა! არ არის საჭირო აწ შავი-ღაფსენით! იძახდა ხალხი.

— როგორ თუ დავესხნე! ოცი თუმიანი მიმიცი! — შეუტია ყარამანმა, აილო თავის ფეხს და მშვიდობიანად გზას გაუღდა.

— აა—ხელოვნური ფეხი ყოფილა ხა-ხა-ხა-ხა!—უასამა ხალხში სიცილი. დათუნა;


გო ლ ო რ ი

დიკოს (სახეგრე) იწერებოთ: „საბავშვო სახლის გამგე ბავშვებს უყვირის და ილანძობდა“—ო. მერე რატომ არ გვატყობინებთ ამ „თავაზიანი“ კაცის ვინაობას. თქვენი დანარჩენი წერილებს სტრიქონები გირ გავარჩიეთ.

სისორინი-სი-შაშ-სისი. ძალსა გყვარებით ანტიური (ძეგლი) აღმოსავლეთი, განსაკუთრებით ძველი მუსულმანური კულტურით. ადგებით, ბეგებით; ფაშებით; მოლებით და შაჰინ-შაჰებით. აბა რას გავს თქვენ

ს ტ ე ნ ა

საქონლის უფლები



ბავშვების გამგე-გზავს წყალი მსურთ, ხურდა ფული დასმადელი! მოქალაქე—აქ, მასსოვს, მუდამ წყლიანი ბოჭკები იყო, ცხლა კი აღარ არის, რაშია საჭე?

ბუღეტის გამგე—ბოჭკები „პაჩინკაში“ და ჯერჯერ არ გაუკეთებიათ. მოქალაქე:—ამ სამი თვის წინადაც ავრე მიპასუხეთ, ნუ თუ ამდენი ხანი ბოჭკები ელარ შეაკეთეს?

ბუღეტის გამგე:—წყალი რომ ხალხმა მუჭოლად დალიოს, ჩვენ რაღა ხერი გვეძინება, ამდენ ხარჯებს ეს ვაისტუდობს? ბოლოს და ბოლოს რა კერიო ბუფეტი ხომ არ არის, კოლმეტივია! მოქალაქე: ხო, საკულოანტები ბრძანდებიან? ბუფეტის გამგე:—წადი, შენი...

ფსევდონიმი. ბარემ პირდაპირ გადავწერათ ხახანაშვილის წიგნიდან ერთი მოქალაქის „შემოკლებული“ გვარი: „ბდულ-ტახარ-მაჰმად-ჰუსეინ ბინ-ალი, ბინ-მუსა-ბინ-შაჰინ-თარსუბი“. რატომ ვაგიჟირდათ ასე ხეი რიან და ვასაგებ ფსევდონიმის გამო-ნახვა (თქვენს სოფელს სულე ხომ არ ქვია)?

დავანს (ოზურგეთი) თქვენი ლექსის პირველმა ნაწყვეტმა: სტუდენტების სახადლომ დამიღონოს ლამის გული, მუდამ „ბორში“ მუდამ „შენო“; და სშირადეც ცომი პური

მართლაც გული დაგვიღონა (ცომი პური ცულია და ცომი ლექსი კიდევ უარესია) მაგრამ უფრო შეტად დავვალონა მეორე ნაწყვეტმა: „ღმერთმა დაწყევლოს ოზურგეთს სტუდენტთა კოლმეჩატივი მათგან ვერადერს მიიღებ, თუ კი ხარ კაცი მარტივი-

კურდღელს (ბაში) ვინმე სიმბოლისტმა პოეტმა რომ გაიგოს თქვენი ფსევდონიმი, მართლა კურდღელი ეგონებოთ, მოგადგება მაქსელათი და მიგაგორებს! რაზე იხლადფორთებ საქმეს, ამხანაგო?

მწვერავს (ზუგდიდი) მოგვყავს თქვენი ლექსის დასაწყისი ზუგდიდის სატყეო ტენიკოქის შესახებ: წამოვვეშველვე, ნიანგო, მისმინე მიადე ყურია;

ცულდ ვაწვე არის დანადგარი, ხატყეო ტენიკოქშია. გასაფრთხილებლად ესეც კმარა. დანარჩენებზე შემდეგ მოვილაპარაკოთ

